სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/31

ქ. თბილისი 14 ივნისი 2024

სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 14 ივნისის №0000667669 სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:
1.1. შეიქმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის თანამდებობა;
1.2. სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნას სამი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული:

1.2.1. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 1);

1.2.2. მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 2);

1.2.3. ვებ-რესურსების განვითარების განყოფილება და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 3);

1.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სტუდენტური სერვისების ცენტრის ბაზაზე შეიქმნას ორი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული:

1.3.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 4);

1.3.2. სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი შემდეგი სტრუქტურით:

კულტურის განყოფილება;

სპორტის განყოფილება.

1.4. დამტკიცდეს სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება (დანართი 5).

1.5. შეიქმნას ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 6).

1.6. გაერთიანდეს საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრი და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი და მათ ბაზაზე შეიქმნას ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური შემდეგი სტრუქტურით:

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მართვის განყოფილება;

ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილება;

სატელეკომუნიკაციო და მულტიმედია სისტემების განყოფილება;

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების განყოფილება;

საგამოცდო პროცესების მართვის განყოფილება;

კომპიუტერული რესურსცენტრი.

1.7. დამტკიცდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დებულება (დანართი 7).

1.8. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრის ბაზაზე შეიქმნას სწავლა-სწავლების ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 8).

1.9. საფინანსო დეპარტამენტში გაუქმდეს განყოფილებები, შეიქმნას მთავარი ბუღალტრის თანამდებობა, დეპარტამენტი ჩამოყალიბდეს საფინანსო სამსახურად და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 9).

1.10. ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტი ჩამოყალიბდეს ინფრასტრუქტურის განვითარების საუნივერსიტეტო სამსახურად შემდეგი სტრუქტურით:

ტექნიკური უზრუნველყოფის ცენტრი;

შრომის უსაფრთხოების ცენტრი;

ლოგისტიკის უზრუნველყოფის ცენტრი.

1.11. დამტკიცდეს ინფრასტრუქტურის განვითარების საუნივერსიტეტო სამსახურის დებულება (დანართი 10).

1.12. დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტი გარდაიქმნას დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურად და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი 11).

2. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი 12, დანართი 13).

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდეს 2024 წლის 01 ივლისიდან.

4. 2024 წლის 01 ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) სტუ-ს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2021 წლის 30 ივნისის №01-05-17/06 ერთობლივი დადგენილებით დამტკიცებული:

ა.ა) სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის დებულება;

ა.ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება;

ა.გ) საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრის დებულება;

ა.დ) საფინანსო დეპარტამენტის დებულება;

ა.ე) ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის დებულება;

ა.ვ) დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის დებულება;

ბ) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 04 აგვისტოს №01-06-02/36 დადგენილებით დამტკიცებული სტუდენტური სერვისების ცენტრის დებულება;

გ) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 04 აგვისტოს №01-06-02/35 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრის დებულება;

დ) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/10 დადგენილებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**